დავიწყეთ ახალი ხანა - წინამორბედი ჩვენი თავისუფალი საქართველოსი. დავიწყეთ პარტიული მუშაობა. ჩემ საკუთარ შენობის ერთ მაღაზიაში დავაარსეთ ქუთაისის მეორე განყოფილება. გაღმაცენტრში გვექონდა ჩვენი კომიტეტი, გამოღმა კი - მეორე, სამაზრო. კარგად მოვაწყვეთ. გვექონდა ტელეფონი ნელნელა გაჩაღდა მუშაობა. ხშირად იყო მოხსენებები. თფილი ში ლაპარაკობდნ ძალის შექმნაზე. ჩვენ სამაზრო კომიტეტმა მოვაწყვეთ სწრაფად შეიარაღებული ძალა - წინამორბედი ნამდვილი გუარდიისა. პირველი ჯგუფი შეესდგა ჩვიდმეტი კაციდან. სხვა პარტიებს არ ყავდათ შეიარაღებული ძალა. სოციალ დემოკრატებმა და ფედერალისტებმა მერ მოაწყვეს თავიანთი ჯგუფები. ქუთაისში თებერვალში იყო გვარიანი ანარხია. ქალაქში თვრამეტი ათასი ჯარისკაცი იყო. ჩვენ ბედზე ეს სალდათები იყვნენ უმრავლესობა : ესტონელები, ლიტოველები, ებრაელები და უკრაინელები. სასტიკად აიკრძალა. თვით ჯარის კომიტეტების მიერ ქუარღობა-ყარღობა -დაცემა, დაწესებულებებს დარაჯობდნ სალდათები. უმრავლესობა რუსის სოც. რევოლუციონერები. შესდგა ყოფილი გუბერნატორის გარშემო კომისია:ყოფილი ქალაქისთავი ჩიქოვანი, ვექილი გროგოვი გიორგიძე, და გოციროძე. მაგრამ მათ არავინ უჯგროდა. ქალაქში ძველი პოლიცია გაიფანტა. ადგება ახალი. ჟანდარმები აღარ მინახავს. ძალიან კარგი კაცი - სერგოვევი, ქართველი, თავის საქმეს ასრულებდა. ეს ერთი კაცი ძველი პოლიციის(პოლიცმისტიკის ყოფილი თანაშემწე) გრძელდებდა თავის ვალდებულებას და დარჩა ამ ადგილას ახალ მთავრობაში.

ერთ საღამოს შეგვატყობინეს, რომ ერთი პოლიციდან ასე თუთხმეტი - ჩვიდმეტი კაციარ ემორჩილება თავის კომიტეტს და ამირობს ქალაქის ცენტრის გაძარცვას. ეს ამბავი თვით კომიტეტის კომისარმა შეგვაცტობინა. დაფტაცტობით. ჯერ ქუთაისში შუშმა არ გატეხილა. გადავწყვიტეთ ამ ხულიგანებს. -ქუა ვასწავლოთ. ჩვენ დავინშეთ რვა კაცი და წემდეგი ონიაშვილი. სამ კაცს და ერთ ოფიცარს, შავგულოძეს იძლევა ფედერალისტები, ოთხს თუ ხუთ კაცს იძლევა ახალი პოლიცია, ხუთამდე სოც. დემოკრატები. სულ ოცი კაცი თოფით, საღამო იყო, აიკრძალა წემდეგი ლაპარაკი. ჩავესაფრეთ შიგ ბულვარში, ასე რვა საათისთვის მოვიდნენ ხულიგნები. დიდი ნაჯახებით და კონდახებით დაიწყეს მტვრევა მაღაზიების კარების. იყო თვრამეტიოდე სალდათი. შავგულოძემ გაგზანაწემდეგი ონიაშვილი, შეატყობინე, რომ საფრთხე მოელის. ონიაშვილი მივიდა და უთხრა რუსულათ:საქართველოში ყარღობა არ შეიძლება. სამი ტყვია დაახალეს. ონიაშვილი ომში გამოვდილი იყო დავა - ვითომ მყვდარი. გაისმა ბრძანება:ცუცხლი. გავარდა ოცი თოფი. შედეგი - რვა მოკლული სამი მძიმედ დაჭრილი. ეს იყო პირველი და უკანასკნელი დაცემა ქუთაისში, შემდეგ შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა - ძარცვა მისიპო.

როგორც ჩვენ ქუთაისში თავზე გვეყავდა თვრამეტი ათასი რუსი, ისე თფილისს ყავდა ოცდაათზე მეტი. ამის გარდა თფილისის არის ცენტრი. ომი ჯერ გრძელდებდა მაგრამ ბოლოს ფრონტის ორასათასმა სალდათმა უსათუოდ თფილისზე უნდა გაიაროს. მდგომარეობა იყო ჩასაფტკრებელი. თბილისში მარტ - ამირლში დარსდა ეროვნული საბჭოები : პოლონელების - ლიტოველების უკრაინელების - ადერბეიჯანელების - სომხებისა. მოვიდა პეტროგრადიდან სპეციალური კომისია რუსის პარლამენტისასამ წევრები : აკაკი ჩხენკელი, რუსი ხარლამოვი და ერთი სომეხი. იმავე დროს მოვიდა კერენსკის გამოგზანვილი ვლადიმერ გობეჩია(აღლბთ ფარულათ ნამეტნიკი) - გიგოწულუკიძემ ერთი კარგი ბინა ძალათ მიითვისა. მენშევიკებმა დაუღალსტურეს ყარღობა. ვლადიმერ გობეჩიას ეს ბინა მოეწონა და მოინდომა მისი ძალად დაკავება. გიგოწულუკიძემ რომ გერ დააჯერა, აიღო და დაახალა რევოლუცი - მოკლა. სიფრთხილე იყო საქირო, რომ რუსის სალდათებს არ წაეღევა თფილისი და საქართველო. ამ დროს თვით მენშევიკებმა არ იცოდნენ თავისი ძალა.

მაშინ დაარსდა ახალი ჯგუფი მარქსისტებისა, ეგრედწოდებული სხიველები და ალიონისტები. ეს ჯგუფი იყო მიმხრე საქართველოს დამოუკიდებლობის — მან გაიხსენა ძმთა დარჩიანების თეორია. მას ემხრობოდა დიდი უმრავლესობა მენშევიკი ინტელიგენციისა — ყველა ცოტა ბარტ იაში — შედარებით ფედერალისტებისა და ნაციონალ — დემოკრატებისა. იყვნენ: ონიაშვილი, შაკველი საყვარელიძე, შარაშიძე და სხვანი. აკაკი ჩხენკელმა — ფაქტობრივ ნამესტნიკი — დააკავა შუა პოზიცია. მებრძოლი მარქსისტები — მენშევიკები განაგრძობენ გინებას: სიტყვა პატრიოტი მამულში იყო ეროვნული — საპროპაგანდო გინება იყო. წააგავდნენ რუსის ხელგანებს. ალიონისტები, ჩვენ, ფედერალისტები და ესტრები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის განცხადებას. მენშევიკების აზრით კი საქართველო იყო ორი ადგილი, ისინი კი ოცნებობდნენ დედამიწის გადაქმნაზე. თავის თავს ეძახებდნენ მესიანური რილის აღმასრულებლებს. რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგაც იქ იქნებოდა ილიდი თეატრში, პირველი ქართული კრება დამოუკიდებლობისათვის მოიწვია აკაკი ჩხენკელმა. ჩვენ, ფედერალისტებმა, ალიონისტებმა, და ესტრებმა კატეგორიულად მოითხოვეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაშინ მენშევიკებმა შესცვალეს ტაქტიკა: კრებაზე ნოე ეორდანია და ნოე რამიშვილიც დაესწრო. თუმცა მათი ყოფნა სულ არ იყო საჭირო. მიატოვეს ცინიკური გინება ინტელიგენციისა, პატრიოტიზმისა, მამულიშვილობისა და სხვა.

ნოე რამიშვილი, დიდი ნიჰიერი კაცი, გულწრფელი სოციალისტი (ყოფილი მღვდელი. მე თვით დავესწარი, ხოლ დღის წიგნით მან კვლეა სურებში შეასრულა ერთ კვირას). ძალიან სასარგებლო მოღვაწე, სოლო დიდი მახინჯატორი, დიდი ფარშივი არჩევნების მომწვეობი.

არჩევნებში მოხდა ჩვიდმეტი წლის დემკებში. გაიმარჯვა სოც. დემოკრატებმა. (რუსის სალდათებს მისცეს უფლება საქართველოს საკითხში ეხრება). პირველი სოც. რევოლუციონერები, მეორე მენშევიკები (ორივე ფრაქცია შეერთდა), მესამე ფედერალისტები, მეოთხე ჩვენ.

მიუხედავად არჩევნებისა, კრებისა, საქართველოს დამოუკიდებლობა კიდევ ექვსი თვით გადადევს. ვითომ სიფრთხილით. არ უნდოდათ, არსჯეროდათ. რადმე ერთი წელიწადი და სამი თვე დაიგვიანეს — რევოლუციონერ და დამოუკიდებლობამდე. არჩევნებმა აშკარად დაანახა ქართველ ხალხს მართველობის ნიქი — ათასობით მოვიდა თფილისის კინტო.

ახლა არჩევნებზე შეეჩერება. ქუთაისში მე კომისიის წევრი ვიყავი. პლატონ სადარაძემ მასწავლებელმა, ლადკა რიგში მივიღა მასთან წესრიგისათვის დანიშნული ერთი პირი. უნდოდა უჩიბოს ხელში სხვა კონვერტი. სადარაძემ უარი უთხრა. მაშ შენ ხმას ერ მისცემო დემოქრატ და წავიდა. სადარაძე მერმეთ იყო პროფესორი თფილისში. პლატონმა მე მიიჩნეო და მიიხრა. მე უცებ დავუძახე კომისიის წევრებს და დავადგინეთ — ეს წესიერებისათვის დანიშნული პირი გავეგვლო. ჩხუბს აპირობდა, რომ პოლიცია არ ყოფილიყო. გამოგა ქუთაისელი სომეხი, რა კონვერტს აძლევდა ვინ იცის, ხოლო ოცდაათობა მიეცემა ხმაში, მხოლოდ გაიან იყო სომხური პარტიისა.

ბადადის მხარეზედ ერთხელ ვიღაც სუბატაშვილმა — მენშევიკმა, არჩევნების ყუთები ცხენს აჭიდა და მას ვისაც იცნობდა, მივიღოდა და აძლევდა „წყალბას“ ჩაეგდო ყუთში. ამგვარი არჩევნები, თავისუფალი, პირველი იყო საქართველოში.

როგორც იქნა მოხდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება. მანამდის კი შემოღობაზე თფილისში მოვიდა, ლანჩხუთის იმნაიშვილის რაზმი (ჩვიდმეტი წელიწადი). ამ რაზმზედ შეეჩერებები. ორივე ძმები იმნაიშვილები, გულწრფელი პარტიის მუშეობი იყვნენ. მათ ფარშიობა არ იცოდნენ. სამწუხაროს აქ ბუენისა — აირესში მიხობრეს ერთი მათგანი დაბრმავდეს — საფრანგეთში. ლანჩხუთში შეერთდები მათი რაზმი — ათი კაცის მერ — ყველა ფირალეები, ნამდვილი დილიჯანის მცარცველები. ერთი ამ რაზმთან ჩამოიარა რიონის სადგურზე. ერთი იმნაიშვილთაგანი მოვიდა ჩემთან და მეგობრულად მკითხა, როგორ მიდის საქმე ქუთაისშიო, მატარებელი რომ წავიდა, ერთი ჩვენი რაზმელი გურული ყურში მიჩურჩულეს: იმნაიშვილები კარგი ხალხია, ხოლო მათ რაზმელთა შორის, მე გნახე ბებურიშვილის მკვლელო. გავიხსენეთ: ბებურიშვილები იყვნენ ჩხობატურის რაიონიდან. ერთი — ანდრუშა ქუთაისში სწავლობდა, ნიჰიერი ძალიან წყნარი. მისი ძმა თაფლის დიდი კოპპ — ერატონი. იმ მხარეზე, კარგი ყვავილების გამო, ძალიან კარგი თაფლი. ერთ დღეს მოვიდა თფილისიდან ნატანებში ეს ბებურიშვილი. ჩვეულებრივ აიღო ბილეთი ჩხობატურამდე დილიჯანში. ძნელა ძებების კარზე დაეცინენ ფირალეები. ყველა გაბარცვეს, ბებურიშვილს წაართვეს საშოციათასი მანეთი და მოკლეს — ალბათ იცნო მცარცველი. შემდეგ ეს კოპპერატები დაიშალა.

იმნაიშვილების მოსვლამდე თფილისში დიდი დაცემები, ყარაღობა მძვინვარებდა. მათი როლი კომუნისტების წინააღმდეგ დიდი სასარგებლო დარჩა, ხოლო ყარაღობამ არ იცნო. ქუთაისში არი რამდენიმე პირი, რომელნიც ვაქრობდნენ ოქრო — ვერცხლს, ბრილიანტებს. თფილისში ცარცვეს ბოლო არა აქვს. ლანჩხუთი კი გადაიქცა — ოქრო — ვერცხლის — ბრილიანტების ბირყათ. ვაქრები დადიან ლან-



ჩხუთში, იქიდან ბათუმში ზოგი სტამბოლში. ქალები ჰყიდიან ჩალის ფასათ საქონელს. ეს ეცა აღბ-  
ათ თვალში ყველას. ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისიდან წაიყვანეს ვალოდია სულაქველიძე. მან თან  
წაიყვანა ბევრი პოლიციელები, რადგან თითონ იყო ქუთაისის პოლიციის უფროსი. სულაქველიძე  
იყო უნივერსიტეტის განათლებული - პირადად დიდი პატიოსანი, როგორც პოლიციელი. არა მექრ  
თამე, მაგრამ მხებრი დაუნდობელი პარტიის კაცი. იმნაიშვილის რაზმის ადგილი დაიკავა მან. იმ-  
ნაიშვილის რაზმს ქონდა კარგი ჯამაგირი - პარტივიანი არ ექვემდებარებოდა არც გვარდიას არც  
პოლიციას. იყო ნოე რამიშვილის განკარგულებაში, ესეიგი შინაგან საინისტროს განკარგულებაში  
- იმგვარად როგორც ძველი ჯანდაბმები. სულაქველიძის ჩამოსვლის შემდეგ ცარცვა-ქურდობამ  
იკლო და ლანჩხუთშიც ოქრო-ბრლიანტების ბირეაც უცებ გაქრა. იმნაიშვილების რაზმი იყო მოყ-  
ვანილი თფილისში, როგორც სოც. დემოკრატების დამცველი და არა როგორც ეროვნული ძალა.  
ამის შემდეგ ნოე რამიშვილი უცერემონიოთ დიქტატორობდა.

ნოე ურდანიას პრესტიჟი ესეიგი პარტიისცემა უნდა შეენახათ - გინდა თუ არ გინდა.  
ამას მოთხოვს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ მისი გაკრიტიკება, ესეიგი დაცლის ნახვა  
მოითვება, მის პიციკვებს არ შეებლავს. იგი იყო კარგი სიცოცხლისუნარიანი მწერალი, დიდი ორგა-  
ნიზატორი, ხოლო ყოველთვის სახელმწიფო მართველობის ნიუს მოღვაწეობდა.

ნამდვილი დიქტატორი ნოე რამიშვილი. თავისი პარტიული წარსულით, მას ბევრი რამ გამო-  
უვლია, რაც არ არის ღირსი მოხსენებისა. ამისანა პარტიულმა ნაძირებულმა, იმხვერპლა კაცი  
არაჩვეულებრივი ნიუსია - დიდი მშრომელი სურბული მღვდელი სარ იყო ცუდი შინაგან საქმეთა  
მინისტრი. მაგრამ ბევრი შეცდომები დაავიანება ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების, ტერ-  
ორი პირველ ხანებში-რაც სულ სპირობ არ იყო. ეკლესიის და პატრიარქის აბურაღ ავადება.  
დამოუკიდებლობის დაავიანება : ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ, პირდაპირ ქვეყნის დალ-  
აბია. ტერორი დაატრიალა სულ სულელური: კახეთში მოკლეს ორი ძმა აფხაზები(მკვლელობა "შვე-  
იცარიელი" ქმში კახიანი). ქართლშივე ზირიშვილები.

ქუთაისში მოვიდა გუბერნატორად ცნობილი კარტის მოთამაშე, პირდაპირ შულერი. -ვანო  
კაჩუხაშვილი. მან მოკლა დაბა სვანეთში ერთი შექმნილი მოხუცი, სვარში მოკლეს მასწავლებ-  
ელი ფედერალიტი და სხვა. სამდგველოება ავტოკეფალია მაშინვე გამოაცხადა - იყენენ თავი-  
სთვის, მეფურ საქართველოში მათ ქონდათ საქართველოს შემოსავლის მესამედი. უფლიდენ ათას  
ორას ეკლესიას. რუსების დროსაც ქონდათ ცოტა საქუთრება. მაგალითად მწუამეთის მონასტრის  
ქონდა ორი ქვევა ვენახი. რამიშვილმა გამოსცა დეკრეტი: ჩამოერთვას ყველა მამულები. შიგ ეკლ-  
ესიაში არ შესულან - როგორც კომუნისტები - მაგრამ მოწამეთის მონასტრის ორი ქვევა ვენა-  
ხის ჩამორთმევა, პირდაპირ ყარალობის აქტია. პირველმა პატრიარქმა კირიონ მეორემ უპასუხა  
დიდებულად:ახალ საქართველოში მან თავი მოიკლა. ხოლო უნდა ითქვას სიმართლე. დამოუკიდებ-  
ლობა რომ გამოაცხადეს(ისიც სასაცილოდ), შინაგან საქმეთა მინისტრს დაავიწყდა--ამისთანა დი-  
დი ისტორიული აქტისთვის სურათი გადაეღო - დაავიწყდათ ფორტოგრაფის მოწვევა, თუმცა კლარკი  
დიდი ფორტოგრაფი იქვე იყო სასახლესთან.

შემდეგ აწარმოებდენ (ვთომ) ბოლშევიკური პოლიტიკას -- მიუხედავად იმისა : რომ  
-გამოცდილება არ გექონდათ" : მათი სიტყვით. ფორდანიამ გამოაცხადა "დაწვიოთ ის რაც მე ვთ-  
ქვი დამოუკიდებლობის წინააღმდეგო. შეადგინეს პირველი ქართული სამინისტრო. ეს იყო ნამდგ-  
ილი ლანჩხუთის პარტიული კომიტეტი. : ნოე ურდანიანი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხ-  
იკვიშვილი. არც ერთი უნივერსიტეტი სწავლით. ქვეყანას ჰყავდა იმისანა სასიკადალო კაცები:  
ნიკო ნიკოლაძე, ილიკო ჩიქოვანი, კობე აფხაზი, პროფესორი ავლიშვილი, ხელთუფლიშვილი-- რი-  
მელი ერთი ჩამოფევალი. ასობით საქართველო სავეს იყო ინტელიგენტი ძალებით. თფილისის უნი-  
ვერსიტეტი უცებ დაარსდა მთელი პროფესორებით. ქუთაისში კი სახუმაროთ მდგომარეობა: თერმის  
კლასი გავათავე ხვან ვერ ვისწავლო(ხომერიკი, ჩხიკვიშვილი).

პარიზში რომ ვიყავი, ნოე რამიშვილი ჩიოდა: კაცები არ გვყავდა, კაცები გვაკლდა. გოგია  
დღონტი არ იყო უსარგებლო კაცი. გაქანდგამოქანდა ჩვენი მთავრობის წერილები, მიყავ-მოყავა:  
ხალხი, როგორც კონტრპანდისტი პროფესიონალი, ხოლო მან მოკლბათუმში კოწინა ნარსია მისი  
ძიიშვილთან ერთად და წაარტავა ასცილითისი მანეთი. ლევილში ყოფნის დროს იგი რამიშვილი  
უტოლებდა გოგია დღონტს- ქაქუცა ჩოლოყაშვილს. მე ვცნობბევრს სასიკადალო მებრძოლთ--არ  
ვსახებლებ ვებ ცოცხალი არიან ვენება არ მიყავენო - ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ერთი  
მას ტოლი - ბადალი ჯერ არა ჰყავს.

პირველი ქართული სამინისტროს დაარსება ყველას ახარებდა - ყველას ეამა. მისი განსაცარა  
ლანჩხუთის მრველობა, ბევრს არ მოსწონდა. ბევრს ეშინოდა - ამბობდენ : ეს რაღაც ზოლოფიერ

ბალს წააგავსო, მაგრამ იმედობდენ მომავალზე. ეათველ ხალხს ხომ დიდი სახელმწიფოებრივი უფ- ისება აქვს. აქვს ნიქი თავის თავს მოუაროს.

რამიშვილია, ყორღანიაა და გეგეკორმაერთგვარი ტრიუმვირატი შეადგინეს. უცელა- დიდ პირებს იცოლებდნენ. ზოგს კონფერენციებზე, ზოგს გერმანელებთან მოსალაპარაკებლად.

ორიოდე სიტყვა სამინისტროებზე. შინაგანში იყო ნოე რამიშვილი — სულ სხვა სამინისტროებში კონდა სურვილი ჩარევისა. თავისაში დომხალი იყო. ქალაქის და ერობის დაწესებულებებში გადა სახადი არ იყრიდებოდა. ეს ერთი, თან მოხელეები უზომოდ იპარავდენ — რაც შემოდიოდა. ჯამ- აგირის მიღებაზე ყველა ფიციბოდა — მომატებას თხოულობდა. — თუმცა არაფერს ანუ რაღმე არ- აფერს აკეთებდა. დამახასიათებელია, რაც მოხდა ქუთაისის თვითმართველობაში. ავირჩიეთ ახალი ხმოსნები და გამგეობა. ქალაქის თავად, ნოე რამიშვილია შემოგვარჩეა დომიდე თოფურიძე. ძე- ელისონი, დემოკრატი, ერთი პირველ მეთაბრთფანი ნოე ყორღანიას. იგი თვლიდა რომიცილა რამიშვილია. ძალიან დიდი ინიციატივის კაცის — თოფურიძის ბედი თვითინალურია: სოც. დემო- კრატები ფულს ეძებდენ. დასწერეს ჯვარი ერთ ვოლგელ მდიდარ მფეველეს ქალზე. გერმანელი — შმიდტი. თჯახმა ვერ იხეირა, ხოლო დროებით კარგა ძალი გაძდნენ. თოფურიძე ბევრს თავის ამბ- ანაგებს ეხმარებოდა, მისი დანიშნვა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. რადგან ახალი ეროვნული მთა- ვრობაა, ჩვენც არ ვეწინააღმდეგეთ. მეც ვიყავი ხმოსანი. თოფურიძე (ვითომ) ჩვენ ავირჩიეთ. ჩე- ენდა მოულოდნელად გამოდგა ძალიან კარგი ადმინისტრატორი, ქალაქს კონდა ბევრი საყუთრება: მშვენიერი თვითმართველობის შენობა, სამი ხილი, ორი ბაზარი დუქნებით, ტელეფონი თავის შენო- ბაში, საყახსოორი დიდი აფთაპი და სხვა. შემოსავალი თვეური სამი მილიონი, ხოლო ხარჯი — ცხრა მილიონამდე. თოფურიძე თავიდანვე დაადგა იმ აზრს, რომ ჩვენ თავს ჩვენვე მოუაროთ, ხმ- ოსნებზეც ამას მოვითხოვდით. თვითმართველობა თვლისისა, ბათომისა, ფოთისა და პატარა დაბ- ები, ხაზინა მიჩრებოდა — სულ ფულს მათხოვრობდენ. ვიყავით ორმოცდასამი ხმოსანი, ოცდა- ორი მენშევიკი, ცხრა ფედერალისტი და თორმეტი ჩვენი.

სოც. დემოკრატები ორ ჯგუფს წარმოადგენდენ. ერთი იყო: გრიშა ურატაძე: ლენგინოზ გრიგოლია, გეგელაშვილი, მფფისაშვილი, კოწია სულაქველიძე და სხვები — შორი ახლოს ნახევარი. მეორე ნახევარი — ხელოსნები, წვრილი მოხელეები და მათი ლიდერი ერთი „მარჩიელი“, მარჩიელი მკითხველი — კარტო ბედის მჩრეველი. იგი გამოდგა ყველა სოციალისტებზე უფრო ჰკვიანი. ფე- დერალისტების ფრაქცია სუსტი — ყველა მასწავლებლები. სულ იმას ჩიოდენ, რომ ჯამაგირი აქვთ ცოტა, ქალაქის საქმეებში ძალიან სუსტი. ჩვენი ფრაქცია: ექიმი დემიტრი ნაზაროვი — ორმოც- დეორი წელი განუწყვეტელი ხმოსანი, ადვოკატი კალისტრატე ჩიკვაძე(არაჩვეულებრივი ბასრი- ენა), ექიმი ვასილ წურთელი, დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე, ალექსანდე ჯაფარიძე და სხვანი. მეც ვიყავი ხმოსანი. ჩვენი ფრაქციის წევრები დებატებში პირთვულ აზრით გამოდიოდენ, მა- გრამ ხმის მიცემა ფრაქციის დადგენილებით ხდებოდა ერთსულსონად. შესდგა გამგეობა: ქალაქის თავი დომიდე თოფურიძე(ს. დ), მისი თანაშემწე ალექსანდრე ჯაფარიძე(ნ. დ) ერთი რაჰველი-გვ- არი არ მახსოვს — გამგეობის წევრი(ს. ფ)მფფისაშვილი(ს. დ)ჩვენ, ფედერალისტები და მარჩიელის ჯგუფი რადმე ყოველთვის ერთად გამოდიოდითაჲე რომ ს. დემოკრატებს ვჯობნდიეთ. ყველაზე ნიჭიერი და მშრომელი იყო ალ. ჯაფარიძე. რაჰველი ფედერალისტი ცულუტი გამილდა(ამოაჭვი- ნა ბოლშევიკის პარტიობა როცა მოვიდენ) თოფური ძე კარგი ადმინისტრატორი. მფფისაშვილი მოსაწონი, ხოლო გეგელაშვილი — სუსტი. შემოსავალი სამი ხოლო გასავალი ცხრა მილიონი. ბევრი ვიბჭეთ. შემოვიდა პროექტი: ქალაქის აფთაპებში წამლის ფასის მომატება ო ჩვენ უარყვავით.

შემოვიდა წინადადება, ნაფთის და ეროსენის ფასის აწვევის. ქალაქში და გარშემო დღეში ორი ვაგონი ნაფთიდა ეროსენი იყიდებოდა — ლიტრაზე ერთი შაურის მომატება დეფიციტს დაუარავდა. ჩვენმა ფრაქციამ უარყო. თუ ჩვენ ქალაქის საქიროებისათვის ნაფთს გააძვირებთ, სოფლის კაცი თავის საქონელს გააძვირებს — წავაგებთ ჩვენ. იყო აზრი ქალაქის მამულების და გირაკებისა — ბა- ნკი იმდენს მოგვეცემა, რომ ქალაქის ხარჯი სამი წლით დაიფარებოდა, ჩვენ ესეც უარყვავით. მა- შნი დომიდე თოფურიძემ თავისი ინიციატივით, მოგვცა წინადადება — საპნის ქარხანა გავმართო- თო. ამ ნიჭიერმა კაცმა, ფიცხე იშოვამასალა: ქონი საყახსოოდან, კუსტიკის სოდა იყიდა ბანკის საშუალებითდა ორ თვეში აავო საპნის ქარხანა. იშოვა საპნის მხარშველი ვილად ბლგელი.

ქალაქშიგირვანქა გლახა საპონი ორი მანეთი ღირდა. ჩვენ გამოუშვით საპონი მანეთად გირვანქა. გვიჯდებოდა თორმეტიდან თვრამეტე კაპიკამდე. თოფურიძემ მოგვცა სამი მილიონი წლიური შემ- ოსავალი. მოვუმატეთ ცოტა ტელეფონზე-ცოტა წამლებზე და მოვითქვით სული. თვითმართველ- ბის პრესტიჟმა ძალიან აიწია. აუტყდა თოფურიძეს მისი ფრაქცია: რაგა იქნება ს. დემოკრატები დახლში ჩააყენავაქართა საქმედ გადააქციოთ-წერდენ გაწუთებში-აგინებდენ. გამოთქვეს აზრი

გამგეობის გაკაცების, ჩვენმა ფრაქციამ და მარჩიელის ჯგუფმა პირიქით მაღლობა ვუთხარით გამგეობას. ამ ხანებში მოვიდა კუთხისში ნოე რამიშვილი—დაეწრო ჩვენი საბჭოს ერთ სხდომას. აგავსო კომპლიმენტებით : ერთადერთი თვითმართველობა, რომელიც მთავრობას ფულს არ თხოვს. თფლისში კი პარლამენტის რევოლუცია დანიშნა — რაღამე ყველაფერი გაფლანგეს.

დღომიდე თოფურიძე — არ მოიხურვებ თუ სხვა მიზეზით — წავიდა. მოვიდა 1920 წლის ბოლოს ვიღაც კალანდაძე. ამბობდენ, ძველი ს. დემოკრატი მგონი შვეიცარიაში ნასწავლი იურისტი. ყოვლად უვარგისი, უფრო წააგავდა მექურბენ რაჭველს ანუ ოკოლოდოჩნი ნაღზირატებს, მინემ ინტელეგენტს. ქალაქის თვითმართველობის საქმე ძალიან კარგად მიდიოდა — შემოსავალი გასავალდებულებად. საოლქო ერობაში კი დამხალი იყო. მისი თავმჯდომარე მათემატიკოსი-მასწავლებელი კოწია სულაქველიძე იყო. გასაოცარი რამ დაემართა ამ ქალს. ქუთაისში ჩამოვიდნენ ორი ბერი გელათის მონასტრისა. ჰყვოდენ ცვეცივედა. . . ნამდვილი შულერი — თფლისში ცხოვრობდა კარტო. ბინძური საქმეები ჩაიდინა: ერთმა ვიღაც მერკვილაძემ ვლადიგოსტოკში ფული იშოვა. როცა დაბრუნდა თფლისში შეირთო ერთი ძალიან ლამაზი ქალი. კაჩუხაშვილი ამ ქალს გადაეკიდა. არ გასულა ორი თვე — თფლისში მოკლეს მერკვილაძე. ყველა ზიზღით იხსენიებდა კაჩუხაშვილს. აი ამისთანა კრიმინალური ელემენტები მოვიდა ქუთაისში. — გუბერნიის კომისრად. პირველ დღეებშივე დაატრილა უარო ტრორი. დაბა სვეთაში გამოსალხა ამ სოფელს, ყოფილი უეზენი ნაჩალნიკი კარგი შეძლებული მოხუცი. მისმა შვილმა ცოლშვილთან ოფიცირმა გარდაუხაძემ, თავი შეაქცა სომხებს ომში. სვირში მოაკვლევინა დიდი განათლებული მასწავლებელი — ფედერალისტი. ციხედან გამოუშვა ყველა დაპერილი ბოლშევიკები. მისცა უფლება შეიარაღებისა. მაშინვე იშოვეს ორი კამიონი შეიარაღდენ და წავიდნენ ხონში. იმავე საღამოს დაეცნენ ხონის ფოშტას, გაცარცვეს და მოკლეს ორი მოსამსახურე. ამა დიდი ფული არ იქნებოდა ხონის ფოშტაში? ხონის პოლიციამ დაიჭრა სამი. გამოგზავნეს კუთხისში და რევოლუციურმა სუდმა მიუსაჯა დახვრეტა. მაგამ როგორ აღასრულეს: დამით თერთმდე საათზე გამოსატარეს თეთრი ხიდით ციხისაკენ. ვოსპიტალს რომ მიუახლოვდნენ, ძაღლებივით ქურჩაზე დახვრეტა — ვითომ გაქცევას აპირებდნენ. ციხეში მიყვანის და იქ დახვრეტის მაგივრად (როგორც კანონი იყო) პროვოკატურა ჩვენს რაიონში მოკლეს. მე და ჩვენი რაზმელები მივედით, ერთი მაღალი, იცნო რაზმელმა — რაჭველი გვარად ქვლბაქიანი. მკვდრები პოლიციას გადავეციით. უფროსმა მიიხრა გაქცევა დაუპირებიათო. ამა ვინ დაიჯერებს, რომ ჯაჭვებით ხელზე შეკრულს გაქცევა შეეძლოს. უსინდისო სადისტური მკვლელობა — მართალია და მნაშვეებისა, ხოლო ყოველ წესს და კანონის წინააღმდეგ. მკვლელობა ა და კაჩუხაშვილი. აი რიცხვით მეორე გუბერნიის კომისარი. ქალაქში ოთხი პირი იყო ახალი ბატონები : გუბერნატორი კაჩუხაშვილი, ერობის თავმჯდომარე კოწია სულაქველიძე, ქალაქის თავი თოფურიძე და (ფარული) გრიშა ურატაძე. ყველა მენშევიკ-მებრძოლი-მარქსისტები.

ურატაძეს ვიცნობდი. გურიის პირობაზე შეძლებული მამამისი, ყოფილი რკინისგზის მასტერი. მიატოვა სამსახური და დაიწყო რკინისგზის ხიდების ფოდრაჩიკობა. კარგი ძალი ფული იშოვა — ყველა ერთად და — ძალიან კარგი გურული ვოგონა. კიათურაში ვესოუვიკობა. რეჟელი, ერთი აფთაქის თანაშემწე და გრიშა ურატაძე შეადგენდენ პარტიულ კომიტეტს. ახლედნენ ხშირად ექსპროპრიაციას (ყაჩაღობას).

ერობის სამართველო დიდ დაწესებულებად გადაიქცა. ეს სამართველო, კომისარის კანცელარია, მათი კომიტეტი და შტაბი გვარდიისა, მათი რედაქცია ყველა იღებდა ჯამაგირს ხაზინიდან. არავინ არ ზრუნავდა თავის თავის შენახვაზე. მხოლოდ ქალაქის მართველობა და ჩვენი პარტია არავის აწუხებდა. მთავრობამ ერობის სამართველოს გამოუგზავნა უზომო ფასის საქონ-

ელი-ფრონტიდან მოვიდა მატარებელი. იყო მთელი რკინისგზა, ქუთაისიდან წყალტუბომდე უნდა დაეგოთ ლიანდაგი. (რვა კილომეტრი) საქონელი მოვიდა - არა ქალაქის არამედ ერობის სახელზე. დარწმუნებული ვარ - რომ მოსულყო თოფურაის სახელზე, სამ თვეში რკინისგზა გვექნებოდა. მთვრობდა მისცა სამი მილიონი ფულად და მთელი საქონო მასალა: რეუსები, შპალბი, ვაგონები, რთქმავალი და სხვა. მხოლოდ მოითხოვა საჩქაროთ დაგება ლიანდაგისა. დაიწყეს ორპირის ქუჩა-ზო რეუსების დაგება ვადათხარს მთელი ქუჩა. აქეთ ირბინეს იქეთ ირბინეს წელწადი ვაგიდაერ-თი კილომეტრი ძლივს დააგეს. ერობის გამგეობაში იყო: კოწია სულაქველიძე, ში თანაშემწე სანებლიძე ქვერები ქორქაშვილი და ლევაგა - წაიკომუნისტებდა. ერთი ავტომობილი ყავდათ მერსედეს-ბენც - სანამ არ დაამტვრის არ მოეშვენ უთავბოლო რბენას, ლიანდაგის დასაგები ფული უცებ შევაძეს. მუშები კვირაობით უცდიდენ ფულის აღებას. ერთი წლის შემდეგ ერთ ყოფილ მემანქანეს-ჩვენი პარტიის წევრს უკვე ხნიერ კაცს, თხოვეს: ამა შინჯე გაიარე ახალი ლიანდაგის წავიდა დედაში და ნახა, რომ ბრონზის და სპილენძის ყველა ნაწილები მოუპარავეთ. იშოვეს ახლები დამიქაბერქიმე ამომძრავა ორთქლმავალი - გაიარა ერთი ვერსი და დაბრუნდა. ჩემ კიბ-ვაზე მიპასუხა: თუ რვა კილომეტრი ასე დააგეს ათჯერ დაიმტვრევა ორთქლმავალი. გაიარა სანამ წელმა, დაგება შეაჩერეს, ფული შეიქმმა, წყალტუბოს ვერ მიადწიეს - აი მათი საქმიანობა. ერობას კიდევ მოუვიდა უსოში საქონელი: პოვოუები - დროგები-ხამუტები-ვოყები-ვაგონის გადასატარი ტილოები-რამდენიმე სასვე მატარებელი. ერობამ დალაგა ერთ ცარიელ ხაზარმაში-ყოფილ პოლკის ბინაზე. ყველა მღელ გაყიდვას ურჩევდა, რადგან ხალხში ფული იყო, ხოლო საქონელი სოფლისთვის ძალიან საქონო. სულაქველიძემ კომერცია დაიწყო-არა ვაქრული არამედ თავისებური. მოინდომა შენახვა და ექვსი თვის შემდეგ გაყიდვა. დიდი ფულს ანგარიშობდა.

დარაჯები დააყენა - შვიდით თავისი პარტიული „მოწინავე სანად“ ამხანაგები. გარედან - ქუთაისის გვარდიის ნაწილები, ყველა ჯამაგირით. არ გასულა ორი თვე - ეს საწყობი სულ გააცარიელეს გაპარეს. დარჩენილი-ძალიან ცოტა - საქონელი საჩქაროთ გაყიდა, ძლივს გაისტუმრა „მცველებს“ ჯამაგირი. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სხვას არ დაანება, თავისიანები „მოწინავეებს არგოს. სხვა ამბავი - კოწია სულაქველიძემ კომერციული ოპერაცია განიზრახა. ცარიელი კასარომ გამოაკეთოს. იშოვეს დიდი საწყობი, თოვლით ვაავსეს, დაბეჭდეს და დალუქეს. მოვილიან გაუფხულს. ქუთაისში ზაფხულში თოვლი ადვილად იყიდება. გაუფხულზე მივიდენ-გახსნეს კარი და საწყობი-თოვლის მაგვირად დახვდათ, ნახერხი მიწაზე. თურმენუ იტყვი, შემადგომაზე რომ საწყობი თოვლით ვაავსეს, ჟანჯრების დაკება დავიწყებიათ. გაუფხულზე თოვლი უცებ დადნა. ამისანა კომერსანტები იყო ქუთაისის ერობის ხალხი.

რ ე დ ა ქ ე ც ი ა შ ი .

1920 წლის დასაწყისში ცენტრალურმა კომიტეტმა მიმინიჭა-მომანდეს ვაგეთის გამოცემა მომწყობი. ქუთაისში საცოდავი ვაგეთები გამოდიოდა. ერთი კვირეული ს. დემოკრატებისა, სადაც აწყობდა ასოთამწყობელი ვიქტორი. იგი იყო რედაქტორი. იყო უგემური ორგანო, ყოველ თვეში იბეჭდებოდა გამართელის საპროპაგანდო წერილები, იმ აზრისა რომ თავად-აზნაურობა უნდა მოისპოს და სხვა ამგვარი. ამის გამო გამახსენდა ერთი შემთხვევა: სურამში ვარს. მოვიდა სააკარაკოთ ელისაბედწერეთლის ქალი, გამართელი მისი ცოლით-ტატიშვილის ქალით, ექიმი თიკანაძე და სხვანი. სეირნობის დროს წერეთლის ქალი შეედავა გამართელს: როგორ იქნება, რომ თავად-აზნაურობის მოსაბოძას სწერო, იგიც ზოგს ესმის ფიციკურად. გამართელმა უპასუხა: ჩემი აზრით ასეთი არისო. მაშ მუ უთხრა თიკანაძემ (შემდეგ პარფესორი), გლეხის შვილია, შენ გამართელიეექიმი ხოლო აზნაური უნდა მოგსპო-როგორც ზოგორი უკულტუროს ესმინებაო. გამართელი საშინლად გაწითლდა, თიკანაძემ იგი დაიკირა, მარქსისტული დემოკოგობის ძარღვი მოსჭრა.

ჩვენი რედაქცია ყოველად საწყალი იყო - იბეჭდებოდა დღეში სამასი ცალი. ვინც კომიტეტში მოვიდოდა იყიდდახოლო ფოშტით დაგზავნა დიდი დაგვიანებით ხდებოდა. არავითარი ექსპედიცია გლახა ქაღალდი-ხანდახან ასოები არ ჩანს. სტაშბა შვიდი თვე გაუსტუმრებელი, ქაღალდიც არ არის. წერს მხოლოდ ვასლ წერეთელი დანარჩენი ივსება სოფლის ამბებით. რედაქციაში სამი თვე არ უნახავთ ჯამაგირი. ვნახე კანანელი -ქანტურიაატლულის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი-სენეცია გიმნაზიის ყოფილი დირექტორი, ამხანად რეალურ გიმნაზიის მასწავლებელი. (გაჩეჩილაძე იყო რეალურის დირექტორი, ისიც კარგი კლემის პარტიონი) კანანელი-ცოლშვილიანი კაცი იღებდა ორას მანეთს. მოველაპარაკე-შეგთავაზე რედაქტორობა. იგი დათანხმდა. კომიტეტში შევხვდით და შევიმუშავეთ გეგმა. უფროსი რედაქტორი კანანელი-ხუთასი მანეთი თვირად. მწ-

ერღები: ვასილ წერეთელი, ნიკო ლორთქიფანიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, გაჩეჩილაძე, რედაქციას ქ-  
ავს მუდმივი მდივანი. კაპანელს და წერეთელს მივეცი თითოს ხუთასი მანეთი. სამმა უკანასკნელ-  
ლმა ფულზე უარი თქვა. სამსახური გვაქვს და ისე ვიმუშავებთო. მდივანს სამასი მანეთი დავეც-  
იშნეთ, სამს დანარჩენ მოსამსახურეებსაც ჯამაგირი დავურიგე. ტიპოგრაფიის პატრონს მივეცი  
შვიდი თვის ვალი. ვუყავდა რვა ასოთამწყობი, მათაც მივეცი. მეორე დღესვე გაჩაღდა მუშაობა.  
გამოვიდა ყოველდღიური ოთხგვერდიანი გაზეთი „ერი“. თფილისში წვედი — ვნახე კოტე აფხაზი  
და პართენ გოთუა. ერთ კვირაში მოვიდა ასოცი რგოლი ფინლანდიელი ქალღმადღობა-ქუთაისში არ  
ნახული კარგი. პართენ გოთუამ და კოტე აფხაზმა გვიყვია პირდაპირ ხოლმანდიდან. ჩვენ გვეპირ-  
დებოდა კვირაში სამი რგოლი, სამი რგოლი გვთხოვეს ს. დემოკრატიზმა — მივეცი. ექვსი მოწაფე  
ავიყვანეთ ჯამაგირში — უნდა ეძებნათ ხელის მომწერლები, მოხდა სასწაული: პირველ დღესვე იშ-  
ოვეს სამასი ხელისმომწერი. პირველ თვეში ვუყავდა ორიათასი მუდმივი ხელისმომწერი ქუთაისში.

ათასი იყიდებოდა ხელდახელ ბაზარზე, ორიათასი იგზავნიდოდა ფოტოში. გაზეთის ფასი იყო „შა-  
ური“, თვეობად მანეთსამეგრეო. უმარკულსობა იხდიდა წინდაწინ ექვსი ან ხუთი თვისას, მოვე-  
ქვით სული — რედაქციასი გაჩაღდა დიდი მუშაობა, ვაწუთების დამრიგებლად ავიყვანეთ ათი მო-  
წაფე. ორ საათში არიგებდენ ორიათას ცალს ხელისმომწერლებზე. ექსპედიციამ რთული მუშაობა  
მოითხოვა. საქმეში ჩავაბით მასწავლებელი ხმალიძე — საუცხოვოდ მოაწყო ექსპედიცია. მოღარეთ  
ახლი კაცი დავსვით. კვიცარიძეს ქონდა ქალაქის ცენტრში გაზეთების გამსაღებელი კანტორა.  
ხოლო თვით სოც. დემოკრატიზმა და გვარიანად ხელს ვეიშლიდა, თავის კანტორაში ყიდდალღეში  
ახლან მენტმაგრამ ექსპედიციის საქმეს, ჩვენსას აბრკოლებდა, რომ მათი გაზეთები უფრო ადრე  
მოსვლიდა მკითხველს. მოაწყვეთ სხვაფერად: ხომ დილიდანთ მიდიდა, იქიდა სანტრედიასი,  
შეხვდებოდა ცხენიანი გოგორაკიდან ფოთის მხარეზე. კვიცარიძის ექსპედიციას მოგვიერთო ხუთი  
— ექვსი საათი. შიგ რედაქცია კაპანელის საქმე იყო, ექსპედიცია — ხმალიძის. მეც მოვითქვი სული.

ქუთაისის „ერი“ ბევრად უფრო ცოცხალი გაზეთი ვინემ, თფილისის „საკარტველო“ ანუ მე-  
ნშევიციების „ერთობა“ ქუთაისში წესად შეიქნა ჩვენი გაზეთი ყოველ ოჯახში, ყოველ დაწესებუ-  
ლებაში, ყოველ სავაქროში ყოფილიყო. დავით მიქელაძის წყალობით გაჩაღდა პარტიული მუშაობა.  
1920 წლის ოქტომბერში, სულ ახალი პარტია რაღმე პირველი ვიყავით ქუთაისში.

ლანჩხუთში ვარ ჩემი საზოგადოების საკმეზე — 1913 წელს. ერთი ძალიან პატრო-  
ნანი გურული — ჩვენი საზოგადოების აგენტი მახლავს თან. პარტია კანცელარიის მოხელე — ისიც ზე  
მო სურბული გურული არის ჩემთან. ამით მოთხრეს, სადამოს ლანჩხუთის კლუბში გელეიშვილი ლე-  
ქციას კითხულობსო. დავინტერესდი — წავედი. გვარიან დიდი დარბაზი, ასე ორმოციოდე სკამი იქ-  
ნება თეატრიეთ გამწკრივებულა. დარბაზი სავსეა ხალხით — ქალები, ბავშვები. ლანჩხუთში ხომ  
ყველა სოცალი დემოკრატია — მთავრობის დიდიწული მამასახლისი და მფლავლიც. საიქიოს გავა-  
გზავნიან, თუ სხვა პარტიის განაცხადებ. ვილაც კაცი ძალიან ყაჩადღერი თვალებით, დადის ამ სკე-  
ამებს შორის, ვილაცას ემუქრებადიდი მათრახით. გვგონებდაკაცს — რამე უწყისების უწინაიყო. და-  
ვაკვირდი — ვიციანი, ეს მათრახის მატარებელი იყო ზოსიმე ჯორბენაძე, ჩვენიებს ვკითხე ვინ არის  
მეთქი. მოთხრეს, „ძალიან გავლენიანი პარტიის კაცი. დიდხან იყო ევროპაში — ამერიკაში, კაზაკე-  
ბთან აქენებდა ცხენებს ფულიც იშოვდა ახლა შეძლებული კაციაო“.

1909 წელს ბერლინში ვარ — ევროა დღეა. შევიდეთ პანოპტიუმში — ასე ერქვა ბერლინის  
სანახაობას, სადაც სანდოს პერსონაჟებია. ვინ არ იყო იქ. უროპატიკინი, გაპონი, ფრანგის მინი-  
სტრები, ინგლისელები და სხვა. ცალკე კარები აწერია „აფრიკელები“ ავიდო ბილეთი და შევედი.  
ოთახის შუა ადგილას აფრიკელი შამანის ქობი. წინ ამ „კუდიანის“ შამანის ტახტი. კაცი რომ  
მიუახლოვდება, ეს შამანი წამოადგება, ხელში აქვს შავი ჯოხი — თავგებობის თუ სტრატეგის ფრთ-  
ებიანი ქუდი ახსურავსდა აცვია ნამდვილი ჩვენებური ქულაჯა, მარჯვნივ ხალიჩაზე სხედანსამი  
თფილისელი მესაზნდრე. ორი სტიკორით ერთი საზნდრით. კაცი რომ შევა ოთახში, დაიწყებენ თა-  
ვის უცნაურ ყვირილსდა ეს შამანი დაიწყებს ჯოხის ქნევას. საზიზღარი რამ იყო. მიუახლოვდი  
მესაზნდრეებს და როცა ვაათხად მათი სანდის, გვიგონე ქართულად ლაპარაკობდენ. შეურაცხე-  
ყოფილი და შეწუხებული გამოვიდი გარეთ. ეს კაცი ვიცინაქ, ესიყო ზოსიმე ჯორბენაძე. გეგელ-  
აშვილის ლექცია საძაგელი იყო. აგინებდა უშვერი სიტყვებით ილია ქავჭავაძეს, ილია რახანია მკ-  
ვდარია — დასაფლავებული პანთეონში. ხოლო გელეიშვილი მკვდარსაც არ აყენებს. გასაკვირია,  
რომ ეს თეატრეტიკოსი მენშევიციებისა უცბე გადიქვა კომუნისტად?

სურბული ისიდორე რამიშვილი — ყოფილი პოპოშნიკი ესეიგი სურბების სამამასახლისოს  
ერთი რაიონის ყურისმგებელი, ძალიან ვატლექილი კაცი — რაც ბევრია გურიაში. სიტყვის რახარ-  
უხი იყოდა. პოპოშნიკობიდან გადააყენეს — აღბათ ბინძური საქმიანობისათვის. ჩაეწერა ს. დემ  
28

ოკრატების საპროპაგანდო ჯგუფში. მოიარა ქართლი და ნაწილი ქახეთისა—ვითომ მესაზღვრე, იმან რადმე წერა არ იცოდა, ილიას წინააღმდეგე წერილები მისი არ იყო, სხვისი იყო, რომლის სახელი არ მინდა ვთქვა. სწერდა ისიღორე რამიშვილი, ილია ზაფხულობით ოთხას მანეთიან მუშაში გამოხვედრის, თავისი სოფელშიიძლეოდა სხვადასხვა განკარგულებებს. ზაფხულში ვის პირადება შუბა? ზამთარშიც საქართველოში არავინ ხმარობს. იგი შუბა ქართული წამოსასხამი არ არის—იგი რუსულია, ისე როგორც მისი ფული, რომლითაც ის ეწეოდა ამ ხელშეკრულებას. მას თფილისში არ შეეძლო, ხოლო ქონდა მეორე ქარხანა კავკასიაში. ეს ქარხანაში ექვსი მუშა იყო მუდმივიჯამაგირს კი თვრამეტ კაცს აძლევდა. ვინ იყო ეს თორმეტი ფიქტიური მუშა:ნოე ყორღანია, ნოე რამიშვილი, ისიღორე რამიშვილი, გველიშვილი, სეთი ღვედარაიანი, ფილიპე მახარაძე და სხვა.

ჩვენი ოქლაქია და კომიტეტი —თფილისის ქუჩაზე—გადაიქცა ცენტრალ ქუთაისის პოლიტიკურ ცხოვრებასა. სოც. დემოკრატებს ძალით ქონდათ დაკავებული ყოფილი საურთიერთო ბანკის შენობა. არაფერს იხილდენ—საცოდავი კომიტეტი. ფაქტიური მათი უფროსი კოლა კუმბურაძე, ოკრებილი—ძალიან ჰქვიანი ნიჟიერ საქმის კაცი. მას ქონდა ომში დამსახურებული გიორგის ჯვარი. თორმეტიულად კი თავმჯდომარედ ითვლებოდა გრიშა ურატაძე-სხვა წევრები:ასათიანი, გვარამაძე—ყოვლად ფუჭი—, ერთად ერთი მშრომელი კუმბურაძის შემდეგ, იყო ვიქტორ ნოზაძე. იგი აწყობდა მათ გაზეთს—თუ უკაცრავად გაზეთს.სცემდა რედაქტორობდა იყო აგრეთვე ექსპედითია.ერთი საბჭოთა ფაქტიური კომიტეტი. ფედერალისტებს კომიტეტიც არ ყავდათ.

იყრდენ თავს გიორგი ზედნოვიჩის და კირა აბაშიძის ვარშეში, ქართულ გიმნაზიასთან, რადგან იყო ზოგი ერთი მასწავლებელი ამ აზრისა. ესერები გაქრეს—მათი სხენება არ იყო. რუსის ემელონებმა წაიღეს თან. ბევრი ცნობა მოგვივოდა. ერთ ღღეს კოლა კუმბურაძე შეუბნებდა: თქვენ ნამეტან ბევრ ძალას თავს უყარით. მიგვხვდი რაში იყო საქმი. წაიყვანე ჩვენ კომიტეტში, რედაქციასში. სტამბაში —გაოცებული დარჩა. მე ვუთხარი თქვენ აღბათ ფარშიგი ცნობები გაქვთ. მართლაც გამოდგა ასე. ვალდებ სულაქვედობ რომ თფილისში წავიდა მის ადგილას დანიშნეს ვილად მიგრელი მალენარაძე, კაცი ნაღვი ძალიან სასაცილო პატარა ტანისა, როგორც თვით გრიშა ურატაძე. საიდან გამონახეს ეს ტიპი ვინ იცის? პოლიციის უფროსი მალენარაძეს ყავდა ერთი ადიუტანტი, ისიც საშინელი ჯუჯა, ეს ორი პოლიციელი იწვევდა თავის ფიგურით პირდაპირ სიცლის ბაზარში. ეს იყო ჩეჩია გიორგაძე—ძიძიშვილი ჩემი სიძის ლნგინოზ გრიგოლიასი, ყოფილ გუბერნიის კომისარის თანაშემწის. ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, უცებ ამოაძვრინა ჯიბიდან ბოლშევიკური მანდატი—ოთხი წლის წინ აღებული და იგი იყო ადიუტანტი —სანდო პირი— პოლიციის უფროსის მალენარაძისა. ჩემი სიძის ვარშეში თურმე ბევრი იყვნენ კომუნისტები, ეს პოლიციელი, ჩეჩია გიორგაძე, მისი ბიძა ფერშალი კანდელია, და ერთი ბიძაშვილი, რომელიც ვითომ ხილით ვაქრობდა. მე კუმბურაძის ვუთხარი, რომ ჩვენ რევოლუციონერები არა ვართ, მაგი თქვენი შიში მოგონილია ახალი ქალაქის თავის კალანდაძის და ახალი პოლიციის უფროსის მალენარაძის დავუშაბტე:ორი დიოტის). ერთი კვირის შემდეგ მიხიზრა—შენ მართალი იყავი, მიხვდითო.

პირლის თვეში დაიწყო ფორმალური ომი ბოლშევიკებთან(ადერბიჯიანის ომით წოდებული) — ეს აღწერილი აქვს გენერალ კვინიტაძეს, ხოლო მე ვახსენებ ორ ეპიზოდს, იმათ ნაბიჯებს ვინც მოქმედებდა. პირველი: არტილერისტები მხარაძე,გურული, მეორე კვეთა ჯარის ოფიცერი ესეც გურული. მხარაძე: ფილიპე ზიდის დაცვა მომხინდეს. დამის თერთმეტ საათზე მოუახლოვდა ხიდს პირველი ბრანდვიცი, ოთხი ვაგონი. უკან შორს მოსიანს მეორე, მესამე, მე მთვრუვდი, ყველა ცეცხლი გვაქრეთ—ვითომ არავინ იცავს, როცა კარგად მოახლოვდები, მთელი ბატარეის ცეცხლი ორთქლმაგალზე, რომ შევხედეთ პაროვონი ვადატრიალდა, დავურთეთ შორეულს კუდს დიდხანს ვისროდით. ვამოვდა, რომ მესამე ბატარების ბოლო ვაგონს მოხვდა ჩვენი პირველი ყუმბარა—მესამე ბრანდვიცი ცეცხლისგან სულ დაგვიღეწია. სამივე დაქერილია—დანგრეული.

ქარცივაძე:მიხიზრეს ეცალო წყალს მეორე მხარეზე პოზიცია დაიკავო. დამით ოცი კაცით შევდილი წყალში და მდინარის ერთ კუნძულზე ავიდით. სულ დაგვივდით—წყალზე ძან ცივი იყო. გადმა —ასე საუკუნე — ვილად ცხენოსანი გამოჩნდა, ჩვენ მივუყრდით. რუსული მანამაღლა ლაპარაკით წყალს მოუახლოვდენ—იქნებოდა ასე თვრამეტი ცხენოსანი. მივცხეთ ოცი თოფის ტყვიან. მეც ჩემი პარაბელუმი დაგვალე. გადმა სირბილია, ვილაცას მიათრევენ. ვამოვდა—რაზევდაცა წამისულა თვით დევიზიის უფროსი ანტონოვი. იქვე მომიკვდარა. დილით გავიგეთ, რომ მასთან ყოფილა ვილად დიდი კომუნისტი,მაგრამ ვადარჩა. ვინ იყო? ამბობდენ ორჯონიკიძეო.

ამ ომის შემდეგ დაიწყო მოსვლა ცნობების, რომ ჩრდილო კავკასიაში თავს იყრის რუსის ჯარო (რაქველები ვადმოდიოდენ მამისონზე და ისინი გვატყობინებდენ)ცნობა მოდის რამიშვილისაც.

ქუთაისის თვითმართველობაში, ჩუმით საბჭოს დაუყოვნებამდე დაიწყო ქალაქის მამულების დავით-  
რავება. მათი ბეტი ფინანსური მოსაზრებით, ეს ფული მათ გამოადგებოთ ემიგრაციაში, ქალაქის  
თავი კალანდაძე, გეგულაშვილი და მეფისაშვილი თვლიდნენ თვითმართველობის თავის საკუთრებაში  
და ვითომ ავსენ ბოლშევიკებს ამ გლეხთა. აი ნამდვილი სოციალისტები. ყველაფერი უნდა შექაზონ.  
გაფლანგონ. ეს ჩემი დიქტატურა მინ შვიგეიკების ვამნაშკარავდა. თან წავიდეს ფული—ხალხის ფული.  
რამდენი წაიდეს საპარტელოდან ვინ იცის, ოთხი წლის განმავლობაში ბაქო და ბათუმს შუა იყო  
ნაფთის მიღები შვიდი სხვისდასხვა პატრონისა. პირველი წელი ესთქვათ—ამიერკავკასიის მთავრობ-  
ბან წაიღო, სამი წლის ფული სად წავიდა. შვიდი კომპანია წელიწადში იხდიდა ექვს მილიონ სტ-  
ერლინგს—სამჯერ ექვსი, თვრამეტი მილიონი სტერლინგი.

ჩვენი უკანასკნელ ომში რანაირად დავმარცხდით — ყველამ კარგად იცის. ვალიო ჯუდეღმა  
კარგად თქვა: ვინაცა ყველაფერი მისცეს გარბის, ფრონის სტოვებს. ხოლო ვინც ვაგვარცვით — ყ-  
ველაფერი წაგვართვით, მტერი თავი შეაკლავალიყო ჯუდეღი, ყოფილი ქუთაისელი გიმნაზიელი,  
თუმცა მოკომუნისტო — მთლად გარეცხილი მაინც არ იყო.

ბათუმში საშინელი დომბალია. თურქებმა საშინლად მოატყუეს ეორდანი. ამას თითონ  
აღიარებს თავის მოვლენაში. მოვედით დამითდა ბათუმის გიმნაზიის პანსიონში დევნიანადით—  
საწოლები კარგა იყო. დილით გავვდით ქალაქში. შემხედ ერთი აფხაზი ოფიცერი და მითხრა  
შტაბში მიმყევით. მივიყვანე შტაბის უფროსი გარდენ წულუკიძესთან. ოფიცერი ვარდენს ეუბნებდა  
რომ მასთან ერთი თურქი ოფიცერი მოვიდა—ცოტა რუსული სოფლიდან ბულგარელი—და უთხრა რომ  
ამაღამ ბათუმს ავიღებთ, შენ კი სტამბოლში დიდ ჯილდოს მიიღებო(ეს აფხაზი ასეულის უფროსი  
იყო ბათუმში). წულუკიძემ იქვე ვასცა ბრძანება, მაზნიაშვილის რაზმის ოცდაოთხი ტყვეის მფ-  
რქვევი იმ მხარეზე გაეგზავნათ. ათ საათზე თურქის ბატალიონი დაიძრადა ოცდაოთხი ტყვიამფ-  
რქვევი ერთად არაკულდა. არ ვასულა ორი საათის ოფიცერი(ოქროს კბილებიანი თურქი ბულგარე-  
ლი) მოკლული, მისი ბათალიონი ორასზე მეტი მოკლული, რადმე ყველა დაჭრილი. ჩვენი ჯარს არაფ-  
ერი ზარალი არ უნახავს. ბათუმში თათრები სადღაც კიდევ მამამადალებენ. უნდათ ქალაქი დაი-  
კავონ. არ დაქმავყოფდნენ ნოე ეორანიას ბავშვივით მოტყუებას. ჩვენი ჯარი მოვიდა. დავით მი-  
ქელაძის მიერ ქუთაისში შედგენილი რაზმი შეუერთდა ცხენოსან ჯარის რაზმს. ჯარის ცხენოსნ-  
ები იყო სამოცდაათი კაცი, ხოლო მიქელაძისა ორასზე მეტი. ამათ ფორმა არ ქონდათ—უმრავლ-  
ესობას ჩოხა ეცავა. ეს ცხენოსნები იცავდნენ ქალაქში სიწყნარს. თურქების ბატალიონის სამა-  
გალით განადგურებამ, შეაშინა თურქები. ფოშტა დაიკავეს ხოლო გარეთ ვერ ბედავდნენ გამოს-  
ვლას. ბოლშევიკებთან ომი რომ გათავდა, ჩვენიები ეხლდნენ თურქებს და ერთ დღეში ბათუმის არ-  
ემარედან გარეკეს. ამ საქმეში ვარდენ წულუკიძე და მაზნიაშვილი მოქმედებდნენ.

დაჭერილი ბოლშევიკები გაათავისუფლეს. ერთ დღელს ვნახე სერიოზა ქავთარაძე, ახალი  
გუბერნატორი ქუთაისის გიმნაზიიდან ჩემი აზხანაგი, მან საღამოს ექვსი საათისთვის დამიბარა.  
როცა მივედი, მასთან მაგიდას უჯდა კირკვი, ბერძენი ხოლო ქართული მცოდნე. სერგო ქავთარა-  
ძე პირდაპირი მავთულით ელაპარაკებოდა ჯუდაშვილს. სერგომ უთხრა—ხალხი შიშობს, რომ რუ-  
სები თავზე დაგვაჯდებიანო. სტალინს უთქვამს ნუ შიშობენ ჩვენ აქა ვართო და ქართველებს უთ-  
ხარით—ინტელიგენციას დამემარჯვენებს ურჩიეთ დარჩნენ არ წავიდეთ, თორემ რუსებს და სო-  
მებს დარჩებთ ადგილიო. მთელი დედოფისი ბედი იცვლება და ეს საპარტელოში არ წყდებაო.

დავბრუნდი ბათუმშიდანმე მქონდა ჯარის შტაბის ქალაქი ურომლისოდაც ვავონში არ  
უშებდნენ. არ გაუჩხრეკივართ—პირდაპირ მიმითითეს ერთი კარგი ვაჟიანი. შიგ ცოტა ხალხი იყო  
ამითში — მარტუია მიქელაძე, მეუღლე მამია ორახელაშვილისა, მე მას ვიცნობდი. სამტრედიასში  
რომ მივდიდი ის ვინც ჩემ პირდაპირ იხვედა წაიყვანეს, მაგრამ მაღე დაბრუნდა — ქუთაისელი ვა-  
კარი იყო. მე არავის შეუწყუხებივარ. მივედით დელამებისას ქუთაისში, ხალხი საშინლად დამფრ-  
თხალია. მეორე დღელს დავესწარი კომუნისტური ჯარის მიტინგს. ვაბაშვილის გორის გზით მოვიდა  
ვიღაც მათი ღენერალი. უშვერი სიტყვებით რუსულათ აგონებს მენშევიკებს. მიტინგი რომ მოვყვდა  
ეს გენერალი მოვიდა ჩვენთან. მე მას ვუთხარი: აღბათ არ იცით რომ რუსული ქუთაისი არავინ  
იცისამისანა განცხადება უნდა მოხდეს ქართულად. ძალიან გაიკვირა— გერმანელს წააგავდა სუ-  
ფთად გამარსული.

ბათუმშიდან ქუთაისში მიმავალი ვტიქრობდი ჩვენ შტოლომებზე, ორს მოვიყვან—როგორც მა-  
გალითს, დავგანებინე მაგრამ მაინც ვამოცხადებულ დამოუკიდებლობაში ყველა ვაახარა. ვახარებ-  
ული ხალხში ფულიანი კაცებიც იყო. უნიკობნენ ასეთები: ხოშტარია, ვარაზაშვილი და სხვები გა-  
დაწყვიტეს იარაღის პარხანა და რკინისგზის დეპო შეაერთონ. გერმანელი და ავსტრიელი ტყ-  
ვენიდან გამოენახათ სასარგებლო ხელთის კაციდა ორი<sup>და</sup>თას ქართველთან ერთად დავარსებიათ

იარაღის ქარხანა. ფიქრობდენ ჩვენთვის საჭირო იარაღის ადგილზე დამზადებას. იშვავს სპეცი-  
ალისტები — ქართველები, გერმანელები, რუსები და სხვაც. ბჭობა რომ დაასრულეს მიმართეს თხ-  
ვნი მთავრობას — არის უკვე ჩუმი ტრაუმვირატი: ელადანია რამიშვილი გეგეპკორი — მთავრობამ  
მალე გასცა პასუხი. არ დაიჯერებ ახლა მკითხველთათვის სინამდვილე: ამ კომისიის ქალაქზე  
ეგვანი გეგეპკორმა თავისი ხელით დააწერა, დღეს ისეთი ხანაა, რომ ყველა ზარბაზნები გაჩუმდება  
მთელ დედამიწაზე და ჩვენთვის იარაღი ზედმეტია“. ასე გაბრუნებული იყვნენ მენშევიკები თა-  
ვისი ძალით. (ვითომ ძალით) — მეორე ამბავი მოგვიყვან ვარდენ წულუკიძემ მებრძოში. ჯარის შტა-  
ბში დაისვა საკითხი ცხენთან ჯარის საჭიროების, ვფიქრობდით სამიათას კაცს. დაინიშნა სპეცი-  
ალური კრება. შტაბიდან ვიყავით ექვსი ოფიცერი. წარუდგინეთ მოთხოვნის დასაბუთება — არავი-  
თარი შედეგი. თუმცა კრების მოწვევა მხოლოდ ფორმა იყო. ჯუღელმა და მისმა დამქაშებმა წა-  
მოაყენეს, რომ სიმინდი არ არის საჭმელად — რა დროს კავალერიათ. მაშინ ჩვენ ექვსივე ავდექით  
და განვაცხადეთ, რომ სამშობლო საფრთხეშია და აქ სიმინდზე და ცირკის მსგავს წარმოდგენაზე  
არ არის დაბარაკი. კავალერიის არ ყოფილა არის ჩვენი დამარცხების მცირე მიზეზიც.

ახლა მე ოთხმოცი წლის ვარ და მახსენდება ჩემი ბავშობა. ვინ წარმოიდგენდა რაც მას აქვთ  
მოსდა. ცამეტი წლის ვიყავი — გიმნაზიელი. კეკელიძე ჩემი ამხანაგი შკოლით, ერთ დღეს მასთან  
მიმიწვია — იგი ვაბაშვილის მთის ძირში ცხოვრობდა. შედგა იაჩეიკა — ერთეული. უფროსობდა სემი-  
ნარიელი გიორგაძე: მამამისი იმ ხანებში, მღვდელი იყო სადღაც ქუთაისთან. გიორგაძე იყო სემი-  
ნარიის ვაჟავებაზე. პავლე საყვარელიძე — ისიც მღვდლის შვილი — გიმნაზიელი უფროსი კლასისა.  
სოსო ჯუღელაშვილი იყო ფილიპის ყოფილი სემინარიელი, იმ დროს ქუთაისის სემინარიისტი ქაშუქსო  
ქლასი იყო. ეს ჯუღელაშვილი დღეს აქვე მდებარე ვაბაშვილის გორაზე, ჭაბჭაში ვგალობდით. გიორგაძე  
პქონდაკარგი ხმა — ბასი. პავლე საყვარელიძეს — ბარიტონი. კეკელიძეს — ტენორი. ხმით არ ვარგოდა  
ჯუღელაშვილი, ხოლო ხორბი არ უშავდა რა. მთაზე წამოვწვივობდით მოლზე და ვკითხულობდით  
მატერიალისტურ ლიტერატურას. კითხულობდა ანუ გიორგაძე ანუ საყვარელიძე — სოსო ჯუღელაშვი-  
ლის მოქონდა თავისი ლექსები. ჩვენ ვკითხულობდით ბელინსკის პისარეის ანუ ქართულ ლიტერა-  
ტურას. ჯუღელაშვილის ლექსები იყო გვარდიანი სუსტი. ეს იაჩეიკა ვაგრძელდა რამდენიმე წელს.  
გიორგაძე სწორედ ის არის, რომელმაც დაიწყო რუსთაველი ცეხები. უკვე ხნეიერი ინჟინერი რუსე-  
თიდან მოსულმა. სოსო ჯუღელაშვილი ითვლებოდა სვანების ოჯახში როგორც სასიძო კაცი. რომ გა-  
ათავებდა სემინარიას უნდა დაეწერა ჯვარი სვანების ქალზე. ძალიან სასიამოვნო სახერგვალე  
ქალიშვილი იყო. მაშინ ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფე. კეკელიძე ადრე მიიცვალა და ეს ია-  
ჩეიკაც დაიშალა.

თფილისში რომ კომუნისტების დროს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი შედგა, ვარდა  
სამხედრო სექცია კოტე აფხაზის ხელქვეით. დავით მიქელაძე დაინიშნა იმერეთში ხელმძღვანელად  
მე ვაწვდიდი პოლიტიკურ ცნობებს მიქელაძეს — მყავდა დიდი ქსელი ვაბაშვილი კომუნისტებს შორის.  
სვანეთის გამოსვლის დროს დაგვიპირეს ბევრი. ჩემს სიხარულს არ ქონდა საზღვარი — პირველ წყ-  
ება კომიტეტიდან, მარტო მე დამიპირეს.

ბევრი მათრიეს. ქუთაისში რუსის ჩეკა, ვუბერნიის ციხე, მეორე პოლიტიკური ციხე,  
მერმეთ ქუთაისის ჩეკა. თფილისში: თფილისის ჩეკადა მებრძოლი ციხე.

გამოყვანილი — ვანავარძე ჩემი საქმე. მიიცვალა დავით მიქელაძე. დაიღუპა ჩვენი სამხე-  
დრო ცენტრიც. ჩაღდა მეორე წყება საქმეში. მე ავად ვავხდი — გამირთულდა ცხრაასხუთ წელს  
მიღებული პრელობა. მოგახერხე ევროპაში წასვლა. 1927 წელს წავიქედი არდენტიანაში  
(დასასრული პირველი ნაწილისა)



ს ა მ გ ლ ო ე ი ა რ ო

ნათესავთა და მეგობართა მიმართ სამძიმარის თქმით, ვაქცევებთ მიმდინარე წლის განმავლობაში გარდაცვლილთა სიას.

ღვეილის სასაფლაო: ივონ ყურუშაძისა. პეგი ხუნდაძისა, ვასილ საბახტაროშვილი, გიორგი ვარნაძე. აკაკი ასათიანი. ჯუანშერ ლალიძე. ვალიკო წილოსანი. გიორგი ფორაქიშვილი. შერთბული შტატები: თინა გომართელი დადიანისა. ელენე ცინცაძისა ფელსანს. ლალო შარაბიძე. კოლა ქვარიაანი.

ღმირტი აფხაზი- სენ ენევიეგ დიუ ბუა. მარი კერესელიძე დაბ. დრუჟინინა-გენინე, კოტე გუნია-ლიონის მახლობლად. მარი ელიგულაშვილი რაბინოვიჩი-ბანიო. შალვა ჯაგელიძე. გედეონ ასათიანი-სენ კლუ. ლალო ცაბაძე-პოლონეთი.

გვთხოვენ გამოგაცხადოთ.

გრძელდება შემოწირულების მიღება ქართველ მეომართა ძეგლისათვის. გთხოვთ გამოგზავნოთ ახალი მოლარის სახელზე: J. VODE (რ. გოგიტიძე) 53 Bd. St. MICHEL PARIS.

შ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ო ნ დ ი

ფრანგული ფრანკები

ა. ბარკალაია-სამას ორმოცდაათი; სოშოს სათვისტომო-ორასი; ირ. ოთხმეწური-ასორმოცდაათი; თ. ანთაძე-ორასი; აკ. შავგულიძე- ასი; ტატიანა ჭაჭიაშვილი-ასი; პ. ხვედელიძე-ორასოთხმეტი; არჩ. მჭედლიშვილი-ასი; გვი გაბლიანი- ასორმოცდაათი; ირ. მჭედლიშვილი-ორასი; შოთა ბერეჟიანი- ორმოცდაათი. უღრმესი მადლობა რედაქციისაგან.

DIRECTEUR O. PATARIDZE.

ADRESSE D'EDITEUR : MICHEL KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91310 LINAS TEL : 901 47 81

HORS COMMERCE  
IMPRIME PAR NOS PROPRES MOYENS

სარედაქციო კოლეგია: გვი გაბლიანი. გვი შალდასტანიშვილი. შალვა კალანდაძე. გულნარა პატარიძე ფრატაძისა. მიხეილ ქავთარაძე(ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

